

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი  
ქიმიური ტექნოლოგიისა და მეტალურგიის ფაკულტეტი  
სათათბიროს სხდომის  
ოქმი №3

13.05.2019

სათათბიროს 15 წევრიდან ესწრებოდა 13

**დღის წესრიგი :**

1. 2019-2020 სასწავლო წლისთვის აკადემიური გაანგარიშების შესახებ (მ. მშვილდაძე);
2. მობილობით გადმოსული მაგისტრანტის ინდივიდუალური სამუშაო გეგმის დამტკიცების შესახებ (მ. მშვილდაძე);
3. პროფესორების ნ. კუციავას, ზ. კოვზირიძის, დ. ერისთავისა და სხვათა განცხადებასთან დაკავშირებით (ნ. წერეთელი);

მიმდინარე საკითხები

1. **მოისმინეს პროფ. მ. მშვილდაძის ინფორმაცია** მომავალი 2019-2020 სასწავლო წლისთვის აკადემიური გაანგარიშების შესახებ. მან ისაუბრა აკადემიური გაანგარიშების სპეციფიკაზე და აღნიშნა, რომ აკადემიური დეპარტამენტის ხელმძღვანელებმა დეკანატთან თანამშრომლობით, მიმდინარე წლის 20 მაისამდე უნდა წარმოადგინონ აღნიშნული გაანგარიშებანი.

**კითხვები დაუსვეს პროფესორებმა :ნ. კუციავამ, დ. ერისთავმა. მ. ცინცაძემ, თ. ცინცაძემ.**

**დაადგინეს:** პროფ. მ. მშვილდაძის ინფორმაცია 2019-2020 სასწავლო წლისთვის აკადემიური გაანგარიშების შესახებ ცნობად იქნას მიღებული.

2. **მოისმინეს პროფ. მ. მშვილდაძის ინფორმაცია.** მან აღნიშნა, რომ მობილობით გადმოსულ მაგისტრანტ ვახტანგ გორგოძესთვის საჭიროა ინდივიდუალური სამუშაო გეგმის დამტკიცება, რომელიც არის სამაგისტრო პროგრამაზე „საინჟინრო ეკოლოგია“. აღნიშნა, რომ ნაშრომის დასახელებაა : „ქალაქის ნარჩენების გადამუშავების ტექნოლოგია“, ხოლო ხელმძღვანელია ასოც. პროფესორი მარინა დემეტრაძე.

**აზრი გამოთქვა პროფესორმა რ. კლდიაშვილმა.**

**დაადგინეს:** მაგისტრანტ ვახტანგ გორგოძეს დაუმტკიცდეს ინდივიდუალური სამუშაო გეგმა სახელწოდებით : „ქალაქის ნარჩენების გადამუშავების ტექნოლოგია“ და ხელმძღვანელ ასოც. პროფესორი მარინა დემეტრაძე.

დადგენილება მიღებულია ერთხმად.

3. მოისმინეს თავმჯდომარის ინფორმაცია. მან სათათბიროს წევრებს გააცნო პროფესორების ნ. კუციავას, ზ. კოვზირიძის, დ. ერისთავის და სხვათა განცხადება მეორე სასწავლო კორპუსის გარე ფასადზე დამონტაჟებული მემორიალური დაფის შესახებ (თან ერთვის). თავმჯდომარემ მათ აგრეთვე წაუკითხა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერის 2018 წლის 13 ნოემბრის N 1-510 ბრძანება ნიკოლოზ ქაშაკაშვილის მემორიალური დაფის ბარელიეფის სტუ-ის მეორე კორპუსის ფასადზე გაკვრასთან დაკავშირებით (თან ერთვის). თავმჯდომარის განმარტებით, სადაო საკითხზე უმჯობესია ჯერ იმსჯელოს სპეციალურმა კომისიამ და საკითხი შემდგომ იქნას განხილულ ფაკულტეტის საბჭოზე. კომისია სასურველია დაკომპლექტდეს ნეიტრალური და პრინციპული წევრებისაგან და სათათბიროს წევრებს შესთავაზა 6 კანდიდატი (3 ქიმიკოსი და 3 მეტალურგი).

**აზრი გამოთქვეს პროფესორებმა: ზ. კოვზირიძემ, რ. კლდიაშვილმა, ნ. კუციავამ; გ. ლოლაძემ, დ. ნოზაძემ, მ. მაცაბერიძემ,**

**დაადგინეს:** 1. შეიქმნას კომისია ,რომელიც შეისწავლის მეორე სასწავლო კორპუსის ფასადზე ნ. ქაშაკაშვილის მემორიალური დაფის დამონტაჟების საკითხს შემდეგი შემადგენლობით;

1. პროფ. წივწივაძე თენგიზი;
2. პროფ. მჭედლიშვილი მარლენი;
3. პროფ. მაცაბერიძე მამუკა;
4. პროფ. მიქაძე ომარი;
5. პროფ. გორდეზიანი ალექსანდრე;
6. პროფ. ნოზაძე დავითი

2. კომისიამ შესაბამისი მტკიცებულებების გათვალისწინებით გასცეს პასუხი კითხვებზე:

- რა მიზნით აშენდა სტუ-ის მეორე კორპუსი, რომელი უწყების მიერ და როდის?
- ითვლება თუ არა პროფ. ნ. ქაშაკაშვილი მეტალურგიული და ქიმიური მრეწველობის ერთ-ერთ ფუძემდებლად საქართველოში და მეორე კორპუსის მშენებლობის მოთავედ?

3. კომისიას მიეცეს უფლება საჭიროების შემთხვევაში საქმეში ჩართონ შესაბამისი დარგის სპეციალისტები.

მომხრე 11

წინააღმდეგი 1

თავი შეიკავა 1

### **მიმდინარე საკითხები**

- მოისმინეს თავმჯდომარის ინფორმაცია. მან აღნიშნა, რომ უფროს სპეციალისტს მარინა ბექაურს გარდაეცვალა დედამთილი, ყავს უმუშევარი მეუღლე და მისი ოჯახი არის

ეკონომიურად შეჭირვებული. თავმჯდომარემ წამოაყენა წინადადება მარინა ბექაურს გაეწიოს ერთჯერადი მატერიალური დახმარება 500 ლარის ოდენობით.

**დაადგინეს:** უფროს სპეციალისტს მარინა ბექაურს ფაკულტეტის მიმდინარე წლის ბიუჯეტიდან გაეწიოს ერთჯერადი ფინანსური დახმარება 500 ლარის ოდენობით.

დადგენილება მიღებულია ერთხმად.

- **მოისმინეს თავმჯდომარის ინფორმაცია.** მან საათათბიროს წევრებს გააცნო ასოც. პროფესორის ბორის გოგიჩაშვილის განცხადება ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ, რომელმაც გადაიტანა მიოკარდიუმი ინფარქტი და თხოულობს ფინანსურ დახმარებას (თან ერთვის).

**დაადგინეს:** ასოც. პროფესორს ბორის გოგიჩაშვილს ფაკულტეტის მიმდინარე წლის ბიუჯეტიდან გაეწიოს ერთჯერადი ფინანსური დახმარება 500 ლარის ოდენობით.

დადგენილება მიღებულია ერთხმად.

თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

სათათბიროს თავმჯდომარე, პროფ.

ნ. წერეთელი

მდივანი, პროფ.

მ. მშვილდაძე